დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2020 წლის 29 ივნისის # 12 დადგენილებით დამტკიცებული „შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების (სპეციალისტის შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზრაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“, რომელსაც ახლავს დადგენილებით დამტკიცებული დანართები: ხელშეკრულების ფორმა,პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია–მოვალეობები და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია–მოვალეობი.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ინტრვიურებითა და პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების დათვალიერებით გამოიკვეთა მოდულური პროგრამების სწავლებისა და მიდგომების ცოდნა. დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტებს შესაბამისი მოდულების პრაქტიკულ ნაწილს უხემძღვანელებს რსესურცენტრიდან გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც კურირებს სკოლამდელი ათზრდის დაწესებულებებს.

მიუხეავად იმისა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის მუშაობის გამოცდდილება, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას **დაგეგემილი აქვს მასწავლებელთა ტრენინგები მოდულური სწავლების მეთოდოლოგიაში**

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია–მოვალეობები და სამუშაო დატვირთვა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 თებერვლის ბრძანებით, რომლის თანახმადაც პროგრამის ხელმძღვანელს ევალება მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შმუშავებაში, განახორციელოს პროგარამის ფარგლებში მოდულების განმახორციელებელი პირების კონსულტაცია კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით,მოდულების განხორციელების მიზნით მოახდინოს შესაძენი მასალა–ნედლეულის დროული იდენტიფიცირება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინფორმაციის მიწოდება პროფესიული განათლების განვითარების სამსახურისთვის,იქონიოს ეფექტური თანამშრომლობა პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/პროფესიული პროგრამების განყოფილებასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 4 იანვრის #01 დადგენილებაში, რის საფუძველზეც პროგარმის ხელმძღვანელად, ზეპირი გასაუბრების წესით, შეიძლება შერჩეული იქნას უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ პროგრამის ხელმძღვანელს, გასაუბრების შედეგად დადგინდა ,რომ აღნიშნული პირს აქვს შესაბამისი სამუშაო და ასევე სწავლების გამოცდილება.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ხოლო ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 24 იანვრის #01–01/05 ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების წესი. წესის თანახმად განსაზღვრულია სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და ფუნქცია მოვალეობები. აღნიშნული ბრძანების თანახმად სასწავლო უნივერსიტეტს შერჩეული ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც დანიშნულია რექტორის 2020 წლის 1 ივნისის # 01–02/50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბრანებით და ინკლუზიური პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტი (01.06.2020 ბრძანება #01–02/51) . სასწავლო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში ჩართვასა და განათლების პროცესში მხარდაჭერას. აფასებს სსსმ სტუდენტების განათლებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, არგებს სასწავლო პროცესსა და გარემოს/ საწარმოო პრაქტიკას,სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია 12 პროფესიულ სტუდენტზე გაანგარიშებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- შ. მესხიას სახელობის ქ. ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის #4 დადგენილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგი/წესი“;
- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის # 12 დადგენილება „შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების (სპეციალისტის შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზრაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 4 იანვრის #01 დადგენილება;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 24 იანვრის #01–01/05 ბრძანება;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 1 ივნისის # 01–02/50 ბრძანება;
- ინტერვიურება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #4, 2020 წლის 18 იანვარი), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესს (მუხლი #9). პროგრამის შეფასება ხორციელდება გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფებით და ინტერვიურების გზით. შეფასების კრიტერიუმები და კითხვარი შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. კითხვარი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთვრებულების კმაყოფილების და შრომის ბაზრის კვლევას. ჩატარებული კვლევის ანალიზი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და რეაგირებისთვის წარუდგენს უფლებამოსილ პირს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის, პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინაციით და პროფესიული პროგრამების მასწავლებლებთან თანამშრომლობით, ხორციელდება ცვლილებები პროგრამაში და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

დაწესებულებას ასევე აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის № 25 დადგენილება). უნივერსიტეტი პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე ატარებს შიდა და გარე კვლევებს. კვლევებით დგინდება შრომის ბაზრის მოთხოვნა, დამსაქმებლის კმაყოფილება, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის, კურსდამთავრებულის კმაყოფილება. საჭიროების შემთხვევაში კვლევების ჩატარების მიზნით (შრომის ბაზრის კვლევა) შესაძლებელია მოხდეს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სხვა ორგანიზაციის ან პირების დაქირავება (მკვლევარი/კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია). კვლევების პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არსებული რეგულაციების მოქმედების მექანიზმები გადამოწმდა მოქმედი პროგრამების შემთხვევაში, როგორც დოკუმენტალურად, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროფესიულის მასწავლებლებთან გასაუბრებით.
უნივერსიტეტმა განახორციელა სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი აღზრდის 62 დაწესებულება, მათ შორის ქალაქში არის 17 და 45 არის მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 10-დან 20-მდეა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 32 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორმა (51 %).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კვლევის ჩატარებისას გამოყენებული იქნა ონლაინ-კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის შეკითხვებს. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს კვალიფიციური კადრების აუცილებლობას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #4, 2020 წლის 18 იანვარი), ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირებას (მუხლი 6). პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს. ცვლილებების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო აკადემიური საბჭოს მიერ.

ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ გამოკითხვები (ელექტრონულად -Google form-ის მეშვეობით) ფოკუსირებულია კმაყოფილების კვლევასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სასწავლო პროცესის შეფასებაზე, კურსდამთავრებულები გამოიკითხებიან თუ რამდენად გაამართლა პროგრამამ მათი მოლოდინები, თუ გამოადგათ, რა დააკლდათ პროგრამის კომპეტენციის სრულად მისაღებად და ა.შ. თუ დასაქმდნენ პროფესიით, თუ არა და რამ შეუშალა მათ ხელი და ა.შ. ხოლო დამსაქმებლისგან ძირითადად გამოიკვლევა ინფორმაცია, თუ როგორი კმაყოფილი არიან სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულით და რა იქნებოდა ის დამატებითი სასურველი უნარი, რომელსაც შეიძლება დამატებით ფლობდეს პროგრამის კურსდამთავრებული.

დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფა ინდენტიფიცირებული ჰქონდა მეტწილად, რადგან მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისობა, რაც ლოგიკურად მივიჩნიეთ.

უნივერსიტეტის ადმინიტრაციამ აღნიშნა, რომ, მართალია, პროგრამა ახალია და არ ხორციელდება უნივერსიტეტში, მაგრამ კომპონენტების სრულად შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნება იმ რეგულაციებით, რომლებიც სასწავლო უნივერსიტეტს დღევანდელი მდგომარეობით გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმა ორიენტირებულია არა უშუალოდ ამ ახალ პროგრამაზე, არამედ ეფუძნება უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებზე მიღებულ გამოცდილებას, რომელიც სავარაუდოდ გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი პროგრამის განხორციელების დროს.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფისათვის მისაღებია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შუამდგომლობა: „აღნიშნული კომპონენტის შეფასება „მეტწილი“ შეფასდეს „ სრულით“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #4, 2020 წლის 18 იანვარი);
- პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის № 25 დადგენილება);
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლება „სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლის ანგარიში“;
- გამოკითხვის კითხვარები;
- პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას და რეგულირდება კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით''.

სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნდა აღინიშნოს, რომ „სასწავლო პროცესის მარეგილუებელი წესი“ სტუდენტთა ინტერესებს ითვალისწინებს. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისტის ინდივიდუალური გეგმის შესადგენად იდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომაში ცვლილების მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს . შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანამანთლებლო მომსახურებას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ- ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

ინტერვიურებით დადგინდა რომ საგანმანათლებლო ადმინისტრაცია არ გამორიცხავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობას ან საჭიროების შემთხვევაში დროებით გაზრდილი დატვირთის ფარგლებში დამატებითი მეცადინეობებისა / კონსულტაციების ჩატარებას ფორს-მაჟორულ პირობებში.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა დისტანციური სწავლებისთვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა საწყის ეტაპზე სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კვლევას. ჩატარებული კვლევეის შედეგად ფიქსირდება 70%-იანი მზაობა დისტანციური სწავლების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ჩართვის შესახებ. შემუშავდა ელ.სწავლების პილოტირების მარეგულირებელი წესი, რომლეშიც მიეთითა სწავლის შესაძლო მეთოდები, სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლო გზები, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები.

პანდემიის პირობებში ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად მიმდინარეობდა იმ მოდულების იდენტიფიცირება, რომელთა სწავლის შედეგების დისტანციურად მიღება შესაძლებელი იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტერვიუერებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო ადმინისტრაცია არ გამორიცხავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობას ან საჭიროების შემთხვევაში დროებით გაზრდილი დატვირთის ფარგლებში დამატებითი მეცადინეობებისა/კონსულტაციების ჩატარებას ფორს-მაჟორულ პირობებში.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე გადაწყვეტილებას იღებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ინტერდისციპლინური გუნდის დასკვნის და პროფესიული მასწავლებლის რეკომენდაციის საფუძველზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით იქმნება კომისია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული მასწავლებლისა და ხარისხის მართვის მენეჯერის შემადგენლობით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომაში ცვლილების მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს . შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანამანთლებლო მომსახურებას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა დამტკიცებულიაა სამართლებრივი აქტით.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამის ხელშეკრულებით / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამის ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სათანადო ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოებას, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას. ინტერვიურებისას კოლეჯის პედაგოგებიც და პრაქტიკის ინსტრუქტორებიც აღნიშნავდნენ, რომ მეტად მნიშვნელოვანია საევაკუაციო გეგმის ცოდნა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგია“
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 17 იანვრის 01-01/02 ბრძანება ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პასიუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების, მართვის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ“
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 18 იანვრის N 04 დადგენილებით მოდიფიცირებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფეს იული მომზადების პროგრამის/პროფეს იული გადამზადების /მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგია/წესი საგანმანათლებლო პროგრამა“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
  - შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი ,,სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია“ სასწავლო უნივესიტეტის რექტორის 2020 წლის 17 იანვრის 01-01/03 ბრძანება სასწავლო უნივესიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანლის 2020 წლის 17 იანვრის 02-01/01 ბრძანება ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიუფო სასწავლო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრულყოფისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სასწავლო გეგმები შემუშავებულია მოდულების შესაბამისად, წინაპირობების დაცვით (არსებობის შემთხვევაში) სასწავლო პროცესის განსახორციელებელ ეტაპებად. ეტაპებს შორის გათვალისწინებულია დამატებითი ვადები. დამატებითი ვადა ნიშნავს მოდულების დასრულების შემდეგ მომდევნო ეტაპის დაწყებამდე გამოყოფილ პერიოდს განმეორებითი შეფასებისთვის (ერთი კვირა), რაც ითვალისწინებს:

ა) პროფესიული სტუდენტის მიერ წინაპირობის მქონე მოდულის წინმსწრები მოდულის შეფასებისას შედეგის არდადასტურების შემთხვევაში განმსაზღვრელი სწავლის შედეგების დამატებითი მიღწევის შესაძლებლობას დამატებით ვადაში 1-ჯერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბ) მოდულის დასრულებას კალენდარული გეგმის შესაბამისად, საანგარიშო კვირაში ოფიციალური უქმე დღეების ან სხვა მიზეზის გამო სასწავლო პროცესის შეფერხების შემთხვევაში.

წინაპირობის არმქონე მოდულების განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგების მიღწევა (განმეორებითი შეფასება) დაადასტუროს პროგრამის დასრულებამდე 1-ჯერ მოდულის განმახორციელებელ პირთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ ვადებში.

ძირითადი და დამატებითი ვადები, ასევე პროფესიული სტუდენტების მოდულით მისაღწევი შედეგების განმეორებით შეფასებაზე დაშვება რეგულირდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", სადაც დეტალურად გაწერილია: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულური/დუალური) პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება. შეფასება ხორციელდება დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტების ფორმების შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტს შეფასების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შეფასებამდე არანაკლებ 1 კვირით ადრე, ხოლო შედეგებს გაეცნობა შეფასებიდან არაუმეტეს 3 დღის ვადაში. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს აპელაციის მექანიზმს.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს**

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელშიც გაწერილია შეფასების ისნტრუმენტებისა და მტკიცებულებები ვერიფიკაციის მექანიზმი. მოდულის განმახორციელებლი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვერიფიკაციას, როდესაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან , მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან.ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის/მოდულების განმახორციელებელ პირებს (შემდგომში ,,ვერიფიკატორები");

პროგრამის ხელმძღვანელს ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება ეკისრება რექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულის მისი ფუნქცია-მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელის/დარგის სპეციალისტის მიერ ხელმოწერილ/ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტს შერჩევითობის პრინციპით პერიოდულად (რისკების გათვალისწინებით, მაგ.:ხალი დასანერგი პროგრამა, ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი და ა.შ.) ამოწმებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტზე ხელმოწერით, საჭიროების შემთხვევაში დებს რეკომენდაციებს/შენიშვნებს;

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის. 29 თებერვლის #18 დადგენილებით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმების , შეფასების კითხვარების ფორმების (შეფასების ისნტრუმენტის, მტკიცებულების, საკონტატქო საათებზე დასწრების შეფასების ფორმები), რომლითაც განისაზღვრა დამტკიცებული ფორმებით შეფასებები განხორციელდეს ახალი სასწავლო წლიდან შეფასების ინსტრუმენტები წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის განმსაზღვრელი შეფასების მიცემის საშუალებას, რომლითაც დასტურდება მიაღწია თუ არა პროფეისულმა სტუდენტმა სწავლის შედეგს. შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე იქმნება სასწავლო უწყისები, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მსჯელობა პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხზე.

პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს. თითოეული შეფასების ინსტუმენტი იქმნება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით. ხოლო ვერიფიკატორს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ვერიფიკაციის ჯგუფი.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების უწყისების, , შეფასების მტკიცებულებების აღიცხვასა და შენახვას .მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება . მტკიცებულებების განადგურების შესახებ დგება შესაბამისი ოქმი; მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს /სურვილისამებრ პროფესიულ სტუდენტს; შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, რომლებსაც ჩაიბარებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის მოდულების შედეგების მიღწევის შესახებ უწყისები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე პროფესიული განათლების განვითარების სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭებიდან- უნივერსიტეტის არქივში მუდმივად.

სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა შეფასების უწყისების აღრიცხვის ფორმები, რომლითაც აღრიცხვის ჟურნალის წარმოება უნდა განხორციელებულიყო 2019-2020 სასწავლო წლიდან, შიდა ხარისხის სამსახურმა შეამოწმა აღნიშნული ფორმებით უწყისების აღიცხვიანობის პრაქტიკა, თუმცა, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან მტკიცებულებად წარმოდგენილ იქნა კვლავ ელექტრონული ფორმით მარტივად შევსებული შეფასებების აღრიცხვიანობის ჟურნალი. ფოკუსჯგუფის დროს გაირკვა, რომ დამტკიცებული ფორმებით უწყისების აღრიცხვიანობა წარმოადგენს სირთულეს ფორმის სპეციფიკის გათვალისწინებით. ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზღვებას და გამოხატა მზადყოფნა ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნას მარტივი ფორმა, რომლითაც იქნება მიზანი მიღწეული, ხოლო ერთობლივად შემუშავებული ფორმა მიეწოდოს უფლებამოსილ პირს/ორგანოს, შემდგომში მისი სარგებლობის მეტი ეფექტურობისთვის.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება შეფასების პროცესის მოდიფიციცირებისთვის საჭიროების შემთხვევაში. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფა ინდენტიფიცირებული ჰქონდა მეტწილად, რადგან მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფარგლებშია შესაძლებელი შესაბამისობის ობეტურად განსაზღვა, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებდა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ტექნიკურ უზუსტობად დააფიქსირა შესაბამისობის მეტწილად შეფასება, რომლის შესახებ ვიზიტის დროსაც იყო საუბარი. არგუმენტირებულად ახსნა, რომ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმა ახალ პროგრამასთან ერთად ეფუძნება უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებზე მიღებულ გამოცდილებას, რომელიც სავარაუდოდ გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი პროგრამის განხორციელების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფისათვის მისაღებია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შუამდგომლობა: „აღნიშნული კომპონენტის შეფასება „მეტწილი“ შეფასდეს „ სრულით“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიურება;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგისა დაშეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგია“
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 17 იანვრის 0101/02 ბრძანება ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პასიუხისმგებლობ ბის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულ ების, მართვის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ“
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 18 იანვრის N 04 დადგენილებით მოდიფიცირებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფეს იული გადამზადების /მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგია/წესი საგანმანათლებლო პროგრამა“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი ,,სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია“ სასწავლო უნივესიტეტის რექტორის 2020 წლის 17 იანვრის 01-01/03 ბრძანება
- სასწავლო უნივესიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანლის 2020 წლის 17იანვრის 02-01/01 ბრძანება ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიუფო სასწავლო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრულყოფისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ“
- არქივის დებულება, დადგენილება N18 30.04.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....

.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი 24. 07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: